საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4236/01
27/04/2021

4236-01-2-202104271908

**სს „ზოტი ჰიდროს“**
**მის:** ქ. თბილისი მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა, №10, სართული №3, ლიტერი "ა"
**ელ ფოსტა:** kratiani@grpc.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 12 აპრილის N6437 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში „ზოტი ჰესი-1“-სა და „ზოტი ჰესი-2“-ს დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და 35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ზოტი-1“-ს და 110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ზოტი-2“-ს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტის შესაბამისად, თუმცა სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ეგხ-ის და ქვესადგურების მშენებლობა, დაგეგმილია სს „ზოტი ჰიდროს“ ზოტის ჰესების კასკადის სამშენებლო მოედნის ფარგლებში („ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სს „ზოტი ჰიდროს“ ზოტი ჰესების კასკადის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 მარტის N2-209 ბრძანება). სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ეგხ-ის და ქვესადგურების მშენებლობა განხორციელდება ჰესების კომუნიკაციების მშენებლობის პარალელურად და დამატებითი სამშენებლო ტექნიკის მობილიზება არ არის გათვალისწინებული. ამასთან სკრინინგის გაცხადებაში აღნიშნულია, რომ ჰესების მშენებლობის პროექტისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები გავრცელდება საპროექტო ეგხ-ის და ქვესადგურების მშენებლობაზეც. ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ის ანგარიშში მოცემული იყო ქვესადგურების განსათავსებლად განკუთვნილი ტერიტორიები და საორიენტაციო სიმძლავრეები. ამასთან ეგხ-ის და ქვესადგურების მშენებლობა დაგეგმილია ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებში. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადებით განსაზღვრული საქმიანობა წარმოადგენს სს „ზოტი ჰიდროს“ ზოტი ჰესების კასკადის მშენებლობის პროექტის ნაწილს, შესაბამისად**

**წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 მარტის N2-209 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს „გარესდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტის შესაბამისად.**

- სკრინინგის განცხადებას თან ერთვის საპროექტო 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის Shp ფაილი, რომელიც არ შეესაბამება სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზს. ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი მიუყვება სს „ზოტი ჰიდროს“ ზოტი ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულ სადაწნეო მილსადენს, თუმცა წარმოდგენილი Shp ფაილი არ შეესაბამება აღნიშნული მილსადენისთვის განსაზღვრული გვირაბის კონტურს (მდებარეობას), აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე